DECORALL®

საგარანტიო ბარათი

პროდუქციის საგარანტიო ვადა განისაზღვრება 48 თვით შესყიდვის დღიდან და ძალაში შედის მხოლოდ კომპეტენტური პირის მიერ სრულყოფილი ინსტალაციის შემთხვევაში. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას გათბობის ქვაბის მხოლოდ ქარხნული წუნის გამოსწორებასა და შეკეთებაზე.

ქვაბის მონტაჟის პერიოდში უნდა იყოს გათვალისწინებული:

- წყლისა და გაზის ფილტრების, ასევე ელექტრული დამიწების არქონის შემთხვევაში, ქარხნული საგარანტიო მომსახურება ვერ გავრცელდება.
- თუ დარღვეულია პროდუქციის მონტაჟის ტექნიკური პირობები, გათბობის სისტემის არასწორი გათვლა (არასწორი მონტაჟი), ქარხნული საგარანტიო მომსახურება ვერ გავრცელდება.
- თუ პროდუქციაზე მომსახურება მიღებულია არაკომპეტენტური პირის მიერ, (სერვისცენტრის სპეციალისტების გარდა), ქარხნული საგარანტიო მომსახურება ვერ გავრცელდება.
- ნალექისგან სისტემის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია დამატებითი წყლის ფილტრის გამოყენება. ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში, ქარხნული საგარანტიო მომსახურება ვერ გავრცელდება.
- თუ პროდუქცია დაზიანებულია მექანიკური ან ელექტროგაყვანილობის გაუმართაობის გამო, ქარხნული საგარანტიო მომსახურება ვერ გავრცელდება.
- წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, ჰაერის გამწოვი მილის ან სხვა აქსესუარების არასწორი მონტაჟის დროს (გათბობის ქვაბის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში) მიღებული დაზიანებისას ქარხნული საგარანტიო მომსახურება ვერ გავრცელდება.
- სერვისცენტრის მიერ ქარხნული წუნის გამოსწორების ვადა შეადგენს 1-დან 30 სამუშაო დღეს.
- გარანტია არ ვრცელდება სამონტაჟო მასალებსა და აქსესუარებზე.

დამონტაჟების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

- პროდუქტი დამონტაჟებული უნდა იყოს ადვილად მისადგომ ადგილზე და დაცული უნდა იყოს წვიმისა და თოვლის ზემოქმედებისგან.
- გაზის, ცივი და ცხელი წყლის, გათბობის სისტემის მილებზე უშუალოდ ქვაბთან მიერთების ადგილას უნდა ეყენოს ონკანები, რათა მოხდეს ქვაბის აღნიშნული სისტემიდან სწრაფი გათიშვა საჭიროების შემთხვევაში.
- აუცილებელია პროდუქტის შეფუთვა, ზამთარში შესაძლო გაყინვისა და შემდგომი დაზიანების თავიდან აცილების მიზნით.

ქალაქ თბილისის გარდა, საქართველოს სხვა რეგიონებსა და ქალაქებში ვრცელდება შემდეგი პირობები: ქარხნული დეფექტის აღმოჩენისას სერვისცენტრი უზრუნველყოფს სრულ საგარანტიო მომსახურებას. სხვა დანარჩენ შემთხვევაში მომსახურება ფასიანია.

საგარანტიო მომსახურება არ ითვალისწინებს გათბობის ქვაბის ახლით შეცვლას, (იმ შემთხვევაში თუ შეკეთებას ექვემდებარება)

DECORALL®

საგარანტიო მომსახურება არ ითვალისწინებს და ფასიანია:

- ❖ ნადების ან წყლის ნალექის გამო ქვაბის დაზიანების შემთხვევაში სპეციალისტის გამოძახებას.
- ❖ სისტემის ტექნიკურად არასწორი მონტაჟის შედეგად წარმოქმნილი დაზიანების შემთხვევაში, სერვისის გამოძახებას.
- ❖ თუ სპეციალისტის გამოძახება არ არის გათვალისწინებული საგარანტიო მომსახურებით ან დაზიანება არ ექვემდებარება საგარანტიო მომსახურების წესებსა და პირობებს, გამოძახების ხარჯებს იხდის მომხმარებელი.
- ❖ სეზონური გაზის წნევის მიწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით გაზის სარქველის რეგულირებას.
- ❖ სპეციალისტის სხვა არასაგარანტიო შემთხვევებში გამოძახებას.

საგარანტიო მომსახურება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მხოლოდ ყველა ზემოთ აღნიშნული სისტემის ტექნიკურად სწორად მონტაჟის შემდეგ, არის შესაძლებელი გათბობის ქვაბის პირველადი ჩართვა და ექსპლუატაციაში გაშვება.

საგარანტიო ბარათი, მომხმარებლის მიერ შენახული უნდა იქნეს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში და წარმოადგინოს მომსახურების მისაღებად.

В случае обнаружения любого дефекта или проблемы, пожалуйста, свяжитесь с нами по указанному телефону:
In case of any defect or issue, please contact us at the phone number provided:

(+995) 599 034 624
(+995) 599 034 625
(+995) 599 034 629
+995 (032) 2 18 51 78

შპს „დეკორალ სერვისცენტრი“ ს.ნ. 405740998

მის: ქ.თბილისი, კონსტანტინე სტანისლავსკის ქ. N12 .

სამუშაო დღეები: ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით

სამუშაო საათები: 10^{00}-18^{00}

სანიმუშო